ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2023 წლის 27 იანვარი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №96 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010250000.35.139.016486, 23/12/2022 წელი) პირველი მუხლით დამტკიცებულ №1 დანართში და **დანართის „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა და გაცემის წესის“:**

1. **სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამა და გაცემის წესი“

2. **26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ზ) დაბადებიდან 18 წლამდე პირების სარეაბილიტაციო სამედიცინო მომსახურების მისაღებად მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №634 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამა“-ში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული სამედიცნო სარეაბილიტაციო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ - ფაქტურა;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**